



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 28-57

„ 21 „ ივლისი 2023 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში (ვებგვერდი, 28/12/2022 - www.matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.101.017056) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

თავი I

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი I. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

№	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
I	შემოსავლები	1,146,914.0	1,388,103.1	1,625,730.3
1.1	გადასახადები	736,080.7	849,506.7	872,224.4
1.3	გრანტები	201,131.6	302,228.1	475,112.8
1.4	სხვა შემოსავლები	209,701.8	236,368.3	278,393.1
II	ხარჯები	968,333.0	1,216,101.6	1,339,189.6
2.1	შრომის ანაზღაურება	69,145.2	87,228.0	107,196.0
2.2	საქონელი და მომსახურება	141,247.6	181,843.0	191,271.5
2.4	პროცენტი	4,366.5	5,357.2	23,801.3
2.5	სუბსიდიები	409,111.2	570,135.7	601,710.7
2.6	გრანტები	1,250.5	755.3	1,921.5
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	153,327.3	148,197.7	141,857.0
2.8	სხვა ხარჯები	189,884.6	222,584.9	271,431.7
III	საოპერაციო სალდო	178,581.0	172,001.5	286,540.6
IV	არაფინანსური აქტივების ცვლილება	158,392.5	233,871.0	382,219.3
	ზრდა	239,561.2	338,871.0	442,219.3
	კლება	81,168.7	105,000.0	60,000.0
V	მთლიანი სალდო	20,188.5	- 61,869.5	- 95,678.7
VI	ფინანსური აქტივების ცვლილება	5,315.2	- 74,879.5	- 137,894.2
	ზრდა	5,315.2	-	-
	კლება	-	74,879.5	137,894.2
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	-	74,779.5	137,794.2
32.1.4	სესხები	-	100.0	100.0

VII	ვალდებულებების ცვლილება	- 14,873.3	- 13,010.0	- 42,215.5
	ზრდა	4.9	-	-
33.1	საშინაო	4.7	-	-
33.2	საგარეო	0.2	-	-
	კლება	14,878.2	13,010.0	42,215.5
33.1	საშინაო	14,878.2	13,010.0	42,215.5
VIII	ბალანსი	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათას ლარებში

№	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
1	შემოსულობები	1,228,087.6	1,493,203.1	1,685,830.3
	შემოსავლები	1,146,914.0	1,388,103.1	1,625,730.3
	არაფინანსური აქტივების კლება	81,168.7	105,000.0	60,000.0
	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	100.0	100.0
	ვალდებულებების ზრდა	4.9	-	-
2	გადასახდელები	1,222,772.4	1,567,982.6	1,823,624.5
	ხარჯები	968,333.0	1,216,101.6	1,339,189.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	239,561.2	338,871.0	442,219.3
	ვალდებულებების კლება	14,878.2	13,010.0	42,215.5
3	ნაშთის ცვლილება	5,315.2	- 74,779.5	- 137,794.2

მუხლი 3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 1 625 730,3 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
1	შემოსავლები	1,146,914.0	1,388,103.1	1,625,730.3
11	გადასახადები	736,080.7	849,506.7	872,224.4

13	გრანტები	201,131.6	302,228.1	475,112.8
14	სხვა შემოსავლები	209,701.8	236,368.3	278,393.1

მუხლი 4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 872 224,4 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
11	გადასახადები	736,080.7	849,506.7	872,224.4
11311	ქონების გადასახადი მათ შორის:	216,906.5	250,000.0	250,000.0
113111 113112	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	171,167.1	211,000.0	208,000.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	28,580.8	23,000.0	26,000.0
113114 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	17,158.7	16,000.0	16,000.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	519,174.1	599,506.7	622,224.4

მუხლი 5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 475 112,8 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
13	გრანტები	201,131.6	302,228.1	475,112.8
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	199.7	455.6	557.8
132	უცხო სახელმწიფო მთავრობებიდან მიღებული გრანტები	0.0	-	-

133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	200,931.9	301,772.5	474,555.0
1331	მიმდინარე	460.0	505.0	555.0
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	460.0	505.0	555.0
13313	გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტიდან	-	1,017.5	-
133132	გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	-	1,017.5	-
1332	კაპიტალური	200,471.9	300,250.0	474,000.0
1332111	სპეციალური ტრანსფერი	175,000.0	290,000.0	440,000.0
1332119	სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	25,471.9	10,250.0	34,000.0

მუხლი 6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 278 393,1 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	209,701.8	236,368.3	278,393.1
141	შემოსავლები საკუთრებიდან	15,794.9	11,810.0	11,284.8
1411	პროცენტები	9,737.2	7,750.0	5,284.8
1415	რენტა	6,057.7	4,060.0	6,000.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	4,258.2	2,750.0	2,000.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,799.5	1,310.0	4,000.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	96,667.1	122,187.3	149,000.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	95,479.5	121,237.3	147,050.0

14223	სანებართვო მოსაკრებლები, მათ შორის	13,301.3	11,022.3	18,095.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	12,351.1	10,000.0	17,000.0
14223993	მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე	950.2	1,022.3	1,095.0
14227	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	40.4	50.0	50.0
14229	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	36,689.1	50,000.0	60,000.0
142210	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	42,629.2	59,000.0	65,000.0
142212	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	2,713.9	960.0	3,700.0
142214	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.5	5.0	5.0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	104.1	200.0	200.0
1423	არასაბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	1,187.6	950.0	1,950.0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,187.6	950.0	1,950.0
1423201	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,174.1	950.0	1,950.0
1423209	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	13.6	-	-
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	49,965.9	65,000.0	111,847.7
144	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	47,273.8	37,371.0	6,260.6

1441	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	47,273.8	37,371.0	6,260.6
144127	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	357.1	762.6	260.6
1441299	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	46,916.7	36,608.4	6,000.0

მუხლი 7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 1 339 189,6 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
ხარჯები	968,333.0	1,216,101.6	1,339,189.6
შრომის ანაზღაურება	69,145.2	87,228.0	107,196.0
საქონელი და მომსახურება	141,247.6	181,843.0	191,271.5
პროცენტი	4,366.5	5,357.2	23,801.3
სუბსიდიები	409,111.2	570,135.7	601,710.7
გრანტები	1,250.5	755.3	1,921.5
სოციალური უზრუნველყოფა	153,327.3	148,197.7	141,857.0
სხვა ხარჯები	189,884.6	222,584.9	271,431.7

მუხლი 8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 382 219,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 442 219,3 ათასი ლარის ოდენობით

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შეკეთება	45,260.3	58,093.2	104,333.0
01 02	ტრანსპორტის განვითარება	10,441.0	11,393.3	32,827.0
02 01	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	43,759.5	47,633.5	39,241.3
02 03	საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	944.7	986.8	1,253.3
02 05	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	2,852.0	3,000.7	8,257.9
02 07	ღონისძიებების უზრუნველყოფა	378.1	1,523.2	500.0
02 09	კეთილმოწყობის ღონისძიებები	42,539.3	52,485.3	61,717.8
02 10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	19,660.9	22,065.9	12,953.0
02 11	2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები	340.6	-	-
02 12	ავარიული სახლების ჩანაცვლება	-	833.8	4,697.6
03 01	გამწვანების ღონისძიებები	42,934.1	57,799.1	58,851.5
03 03	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	1,570.0	3,502.0	7,165.0
04 08	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	124.9	-	590.0
04 12	ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება	678.5	55.0	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	240.0	1,001.2	1.5

06 02	სოციალური დაცვა	115.5	5,002.6	5,000.0
07 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	7,295.8	28,024.2	32,888.2
07 02	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა	7,335.9	5,709.2	4,900.0
07 03	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	399.2	412.5	1,603.8
07 05	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	25.4	8.1	7.0
07 06	მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	11.2	25.1	100.0
08 01	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	13.8	157.4	20.0
08 03	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	298.8	1,646.1	2,659.2
08 04	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	303.0	1,877.4	2,103.1
08 05	კულტურის ღონისძიებები	227.9	8.3	-
08 06	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	6,429.8	26,813.6	35,437.9
08 08	ახალგაზრდული ღონისძიებები	64.5	633.0	4,120.9
09 01	თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა	678.3	815.0	1,755.7
09 02	ცხოველთა მონიტორინგი	211.3	338.6	5,176.2
10 01	ქ.თბილისის საკრებულო	129.7	923.2	869.3
10 02	მერიის ადმინისტრაცია	1,636.1	3,703.0	11,546.2
10 18	სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	168.9	223.1	-
10 20	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური	-	15.4	5.0

10 21	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო	594.3	243.8	1,266.1
10 27	გლდანის რაიონის გამგეობა	17.0	117.3	50.4
10 28	ნაძალადევის რაიონის გამგეობა	35.7	138.9	81.0
10 29	დიდუბის რაიონის გამგეობა	51.5	40.0	45.0
10 30	ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	4.5	22.6	25.0
10 31	ვაკის რაიონის გამგეობა	6.1	8.0	15.0
10 32	საბურთალოს რაიონის გამგეობა	7.6	3.1	5.0
10 33	ისნის რაიონის გამგეობა	12.9	24.3	35.0
10 34	სამგორის რაიონის გამგეობა	1.2	14.6	14.6
10 35	კრწანისის რაიონის გამგეობა	1,685.5	1,353.3	73.0
10 36	მთაწმინდის რაიონის გამგეობა	76.0	196.4	28.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	239,561.2	338,871.0	442,219.3

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 60 000,0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	81,168.7	105,000.0	60,000.0
311	ძირითადი აქტივები	14,680.7	38,000.0	9,000.0
31111	საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან	-	10,000.0	5,000.0
31112	არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან	-	28,000.0	4,000.0
314	არაწარმოებული აქტივები (მიწა)	66,488.0	67,000.0	51,000.0

მუხლი 9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	79,358.4	124,655.6	152,748.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	71,250.7	109,827.3	104,272.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	71,250.7	86,946.5	100,272.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	22,880.8	4,000.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4,366.5	5,364.7	23,801.3
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	3,741.1	9,463.6	24,674.4
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	911.2	2,384.6	4,817.1
7033	სასამართლოები და პროკურატურა	207.1	1,517.5	3,000.0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	704.1	867.1	1,817.1
704	ეკონომიკური საქმიანობა	344,443.9	449,139.3	562,738.6
7045	ტრანსპორტი (მათ შორის გზები)	338,700.6	447,550.1	560,119.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	5,743.3	1,589.2	2,619.5
705	გარემოს დაცვა	161,440.1	234,618.3	244,167.9

7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	84,336.6	132,156.2	133,000.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3,485.0	3,850.0	3,653.2
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	73,618.5	98,612.2	107,514.7
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	244,931.4	273,791.9	316,113.2
7061	ბინათმშენებლობა	101,287.7	107,617.5	132,600.9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	43,760.6	47,633.5	44,241.3
7063	წყალმომარაგება	3.5	-	-
7064	გარეგანათება	29,761.9	36,339.4	36,007.9
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	6,742.6	7,129.8	7,628.3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო – კომუნალურ მეურნეობაში	63,375.1	75,071.7	95,634.8
707	ჯანმრთელობის დაცვა	24,604.0	27,840.9	29,950.6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	3,943.3	3,686.0	2,641.1
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	20,660.7	24,154.9	27,309.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	52,173.7	100,091.3	114,556.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	15,439.0	37,768.4	47,803.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	32,690.0	53,798.9	54,542.8
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2,341.7	5,041.1	5,022.4
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	1,703.0	3,482.9	7,188.5
709	განათლება	168,650.2	214,346.6	236,560.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	145,190.2	187,406.1	205,953.0
7093	პროფესიული განათლება	279.8	317.2	1,700.0

7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	32.5	73.6	100.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	23,147.7	26,549.7	28,807.6
710	სოციალური დაცვა	131,381.4	128,104.1	119,756.3
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	3,613.8	4,279.1	4,879.9
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	416.6	439.4	504.4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	42,813.3	54,131.7	54,987.7
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	8,315.0	14,058.6	14,790.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	76,222.7	55,195.4	44,593.8
	სულ	1,207,894.2	1,554,972.6	1,781,409.0

მუხლი 10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	ათას ლარებში		
	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	178,581.0	172,001.5	286,540.6
მთლიანი სალდო	20,188.5	- 61,869.5	- 95,678.7

მუხლი 11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (137 894,2) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
		5,315.2	-
ვალუტა დეპოზიტები	5,315.2	-	-

ა) განისაზღვროს 2023 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის მოცულობა 138,683.1 ათასი ლარის ოდენობით.

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 137 894,2 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
		-	74,879.5
ვალუტა დეპოზიტები	-	74,779.5	137,794.2
სესხები	-	100.0	100.0

მუხლი 12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (42 215,5) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
საშინაო	4.7	-	-
საგარეო	0.2	-	-

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 42 215,5 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
		14,878.2	13,010.0
საშინაო	14,878.2	13,010.0	42,215.5

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2023 წლის ბოლოსთვის 809 039,6 ათასი ლარის ოდენობით

კრედიტორები	ათას ლარებში
	ვალის ნაშთი 2023 წლის ბოლოსათვის
თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება *	27,789.7
თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება *	48,007.2
თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა *	214,066.8
თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება *	210,236.2
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი *	27,666.2
მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) *	135,449.3
თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი *	145,824.1
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	809,039.6

შენიშვნა: მოცულობის გამოთვლისას გამოყენებულია საპროგნოზო გაცვლითი კურსი : 1 ევრო - 2.8819 ლარი, 20.07.2023წ.

თავი II

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები, პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა კვლავაც რჩება ერთერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება, სატრანსპორტო კვანძების მშენებლობა-რეაბილიტაცია). მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი. მოეწყობა ახალი საფეხმავლო ქუჩები და ველოტრასები. უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა. გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის სისტემა. მუნიციპალური ავტოპარკი ეტაპობრივად სრულად ჩანაცვლდება ელექტროტრანსპორტითა და ჰიბრიდული ტრანსპორტით. უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება (კოდი 01 01)

საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება მუშაობა ცენტრალური და შიდა კვარტალური გზების მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის, მოხდება ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ნაკადების მაჩვენებლებზე.

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი: 01 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია თბილისის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია.

გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში (კოდი: 01 01 08; 01 01 09; 01 0110; 01 01 11; 01 01 12; 01 01 13; 01 01 14; 01 01 15; 01 01 16; 01 01 17)

ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზებისა და შიდა ეზოების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება (სანიაღვრეს ან ბორდიურის ჩათვლით), ახალი ქვაფენილის მოწყობა, დაზიანებული ქვაფენილის აღდგენა/შეკეთება, შემოერთებულ ტერიტორიებზე ამორტიზებული გზების მოხრეშვა მოსწორება, რომელიც განაპირობებს რაიონში არსებული გზის საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესებას, რის შედეგადაც უსაფრთხო გახდება ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება. კომფორტული და თანაბარი ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის მიზნით ასევე, გათვალისწინებულია გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა მოთხოვნებთან.

ტრანსპორტის განვითარება (კოდი: 01 02)

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელეების მოწყობა; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; დედაქალაქის ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო

საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; ავტობუსებში მგზავრთა აღმრიცხველების (მთვლელი მოწყობილობის) დამონტაჟება; ქალაქ თბილისის მასშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება; „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება - განვითარება; ავტობაზების მშენებლობა; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია და სხვა ღონისძიებები.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01)

ქვეპროგრამის მიზანია ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გარდელი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და გადასასვლელების მოწყობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოჭკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული დასახლებების, სოფლებისა და დაბის გზებსა და გზაჯვარედინებზე ლითონის ძელებიანი ზღუდარების შექმნა-დამონტაჟება; გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ

მრუდეებზე (მოსახვევებში) ანტი-ვანდალური სფერული სარკეების მოწყობა; ერთკომპონენტური საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტიკით და ცივი პლასტიკით საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის მაშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება-განვითარება, ახალი ავტობაზის პროექტირება-მშენებლობა, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში ავტობაზის მშენებლობისთვის დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა ღონისძიებები. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შექმნასთან დაკავშირებით დამატებული ღირებულების გადასახადი. აგრეთვე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, "თბილისის ავტობუსების პროექტის" ფარგლებში გაგრძელდება საავტობუსო პარკის განახლება-შევსება.

მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (კოდი: 01 02 03)

ზოგიერთი მეტროს სადგურის ვესტიბიული ექვემდებარება გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. გამომდინარე აქედან, ქვეპროგრამის მიზანია მათი განახლება, რეკონსტრუქცია და მეტროსადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად პროექტების შექმნა.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი: 01 02 05)

ქვეპროგრამის მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიის სახით დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, დაფინანსდება

რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები.

2. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მოხდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, ქალაქის დასასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობა. გაგრძელდება საზოგადოებრივი დანიშნულებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების, პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების და საერთოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ერთიანი გეგმის შესაბამისად, განხორციელდება ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება, აქტიურად გაგრძელდება თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, თბილისის ყველა უბნის თანაბარი განვითარება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება დედაქალაქის მასშტაბით სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა.

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა–რეკონსტრუქცია (კოდი: 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს

მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ასევე, მოხდება ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა და სხვა.

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი: 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მოზინადრეთა უსაფრთხოების დაცვას.

საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია საავტომობილო გზების (ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების), წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) და ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ-კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების მეთოდი), დასკვნების მომზადება, საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები.

საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03 01)

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. შესაბამისად, ქვეპროგრამა

ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სამძიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საავტომობილო გზების, წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო ნაგებობების (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ-კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების მეთოდი) და დასკვნების მომზადება; საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი: 02 05)

პროგრამის მიზანია თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათება და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრული მინათება. პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა, გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება, ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება, გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება.

სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი: 02 06)

პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. მიზნების მისაღწევად განხორციელდება თბილისის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-

პატრონობა (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთება, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობა, კიუვეტების გაწმენდა.

ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი: 02 07)

პროგრამის მიზანია დედაქალაქის გაფორმება დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის მიხედვით; სახელმწიფო, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მოთხოვნით, საერო, სასულიერო, სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, ძეგლებისა და მემორიალების მოვლა-პატრონობა, პიროვნებებისა და ხელოვნების უკვდამყოფი მემორიალების დამზადება-მონტაჟი; სხვადასხვა ფესტივალების, კონკურსებისა და საიუბილეო ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების განსახორციელებლად ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული საერთაშორისო და გაცვლითი ღონისძიებების განხორციელება, თბილისთან დაძმობილებულ ან/და მსოფლიოს სხვა ქალაქებთან სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და სხვა ღონისძიებები.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 09)

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია, სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა (მათ შორის ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან); სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი; რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული

მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი: 02 09 01)

დედაქალაქის საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება. მათ შორის: დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების მოვლა-პატრონობა; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი; თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა და სხვა.

უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი: 02 09 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ხმაურის ნორმების დაცვისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში დადგენილი წესების დაცვა. სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი. საჯარიმო სანქციების გამოყენება, სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა-გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა), დაზიანებული ქუჩებისა და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლი. გარე რეკლამის განთავსების და გარე ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი. უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმების მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების,

სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა და მათი აღკვეთა-სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება.

კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 02 09 10; 02 09 11; 02 09 12; 02 09 13; 02 09 14; 02 09 15; 02 09 16; 02 09 17; 02 09 18; 02 09 19).

ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. განხორციელდება საინჟინრო კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრება, სპორტული მოედნების, სკვერების, საყრდენი კედლების, უსაფრთხოების მოაჯირების, საფეხმავლო ბილიკებისა და სადრენაჟე, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ნიჟარების ექსპლუატაცია, დასასვენებელი და საბავშვო კუთხეების მოწყობა, საბაღე სკამების დამზადება და მონტაჟი, გამწვანების ღონისძიებები (ნერგების შესყიდვა, ხეების სხვლა, ფორმირება, მოტეხილი და მოთხრილი ხეების მოჭრა და გატანა, ბალახის თიბვა, გამწვანებული ტერიტორიების მორწყვა და სხვა), მოსახლეობის დახმარების მიზნით გაზიფიცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (ინდივიდუალური და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების გაზიფიცირება, შემოერთებული ტერიტორიის მაგისტრალური ქსელის მოწყობა და სხვა), რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების დახმარება, მწვავე ავარიული შენობების დემონტაჟი, რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა საზოგადოებრივ ობიექტებზე მოსახლეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 02 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნების და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის

მიზნით, ისტორიულ-კულტურული ძეგლების, საცხოვრებელი სახლებისა და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/ განხორციელება. მსხვილი არეალების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული კვარტლების) ცალკეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ნაწილების, ასევე, ისტორიული სადარბაზოების, მუზეუმების, რეკრეაციული ზონების, სხვადასხვა ისტორიული შინაარსის მატარებელი ინფრასტრუქტურის, ადაპტირებული ობიექტების და ყველა თანმდევი სამუშაოების პროექტირება/რეაბილიტაცია. აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ ტურისტებისთვის შეიქმნება დამატებითი მიზიდულობის კერები, ხოლო მუზეუმების და რეკრეაციული ზონების აღდგენა-განვითარებით შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი სივრცეები - უსაფრთხო ეკოლოგიურად სუფთა გარემო დასვენების, გართობის და კულტურული ღონისძიებებისთვის. ასევე, გათვალისწინებულია საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი: 02 12)

ქალაქში მრავლადაა საცხოვრებელი კორპუსები, რომლებსაც ეწერება ექსპლუატაციის ვადა, მათი დიდი ნაწილი ავარიულია და ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოსათვის საჭირო პირობებს. ამ შენობების ნაწილს უკვე მინიჭებული აქვს ავარიულობის სხვადასხვა ხარისხი. ამასთან, ამ შენობებს გააჩნიათ უამრავი პრობლემები, როგორცაა გაუმართავი ლიფტები, უსახური მიშენებები, მოუწესრუგებელი სადარბაზოები, ეზოები და სხვა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით პროგრამა ითვალისწინებს ძველი შენობების ახლით ჩანაცვლებას, რაშიც იგულისხმება საბჭოთა დროინდელი შენობების თანამედროვე კორპუსებით ეტაპობრივი ჩანაცვლება. პროგრამას დაექვემდებარება ის კორპუსები, რომლებსაც გასული აქვთ ექსპლუატაციის ვადა და მინიჭებული აქვს ავარიულობის ხარისხი. პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსიდან დროებით იქნება გაყვანილი მოსახლეობა (ბინის ქირა) და ახალი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მათ იმავე ადგილას გადაეცემათ შესაბამისი

ფართო გარემონტებულ მდგომარეობაში. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას, ქონების მიმღებს ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში აუნაზღაურდებათ გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ხარჯები.

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

დედაქალაქში ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, აღდგება და განახლდება თბილისის შემოგარენის დაავადებული ტყეები, დაავადებულ ტყის მასივებში განხორციელდება სანიტარული და ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების) ხელშეწყობის ღონისძიებები, დაიხვეწება ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სისტემა, გაუმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და გარე-იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, პარკების განახლება და ახალი გამწვანებული სივრცეების/მწვანე კუნძულების შექმნა. გარდა ამისა, განხორციელდება დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები, ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბება და სხვა.

გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. გარდა ამისა, განხორციელდება ფერდობებზე ტყის გაშენება, მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბურქები, მერქნიანი მცენარეები); თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი), მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბეღვა და კუნძულების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი

და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; საბაღე ფურნიტურის და სათამაშო ატრაქციონების მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში, შუა გამყოფი ზოლების/მწვანე კუნძულების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, გამწვანებული ტერიტორიების და შადრევნების მოვლა-პატრონობა და სხვა ღონისძიებები.

დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ხეების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა ღონისძიებები.

თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03)

პროგრამა მიზნად ისახავს: ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც

საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია. აღნიშნული მიზნების წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას.

თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს: ზოოპარკის ძველ და ახალ ტერიტორიაზე განთავსებული ცხოველების მოვლა-პატრონობისთვის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, მიმდინარე და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოებისთვის, ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებს; ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლებას და აღდგენას, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში; მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვას, როგორც საექსპოზიციო, ასევე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ზოოპარკებთან ურთიერთობას; სკოლამდელი და სკოლის ასაკის მოზარდებში ეკოლოგიური განათლების გავრცელებას სწავლების სხვადასხვა ფორმით; ახალი ვოლიერების მშენებლობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე ცხოველების გადაყვანის უზრუნველყოფას, ჩამოყვანილი ცხოველებისთვის გამოთავისუფლებული ვოლიერების შესაბამისობაში მოყვანას, ცხოველთა კოლექციის გამდიდრებას საექსპოზიციო და სამეცნიერო მიზნებისათვის, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესებას და სხვა ღონისძიებებს.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ბოტანიკური ბაღის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2030) შესაბამისად გაგრძელდება ბოტანიკური ბაღის მერქიან მცენარეთა ინვენტარიზაცია,

კოლექციების დოკუმენტირება; სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება; მერქნიან, დეკორატიულ-ბალახოვან მცენარეთა, ასევე იშვიათ, ენდემურ, სამკურნალო და მაღალი საკონსერვაციო სტუსის მქონე მცენარეთა კოლექციების შევსება; უზრუნველყოფილი იქნება ბაღის კოლექციებისა და ინფრასტრუქტურის მოვლა, განახლება და შევსება; მოხდება საკონსერვაციო სამუშაოთა მხარდაჭერა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის, მატერიალური-ტექნიკური რესურსების განახლება; ბაღის ცნობადობისა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა; ბაღისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, თბილისის მერია შეიმუშავებს მუნიციპალური განვითარების გეგმას. განხორციელდება თბილისის ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვანი კვლევა. შეიმუშავდება და განხორციელდება ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა, ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისების სტრატეგია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტები. გააქტიურდება თანამშრომლობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა). მოხდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებებით.

ბიზნესის სტიმულირება (კოდი: 04 01)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტის ფარგლებში ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა და თბილისში რეგისტრირებული ან მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერა; მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა; მეწარმე ქალთა მხარდაჭერა; ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციის, ცნობადობის ამაღლების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით ადგილობრივი

ღონისძიებების ჩატარება; ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციური პროექტების დანერგვა, რომლებიც მოქალაქეებისთვის არსებული მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი სერვისების შექმნას უზრუნველყოფს. მიზნების მისაღწევად განხორციელდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა ღონისძიებებით: სხვადასხვა ტიპის გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმის ორგანიზება, სხვადასხვა ღონისძიებები ინოვაციების ხელშეწყობის მიმართულებით და სხვა.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია თბილისში ეკონომიკური განვითარების (ბიზნესის ხელშეწყობა, შრომის ბაზრის განვითარება და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება) სტრატეგიის შემუშავება და მისგან გამომდინარე შესაბამისი პროექტების განხორციელება; მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც გააუმჯობესებს ზოგად ბიზნეს გარემოს, ხელს შეუწყობს დარგობრივ განვითარებას, გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის დონეს, გააუმჯობესებს ღირებულებათა ჯაჭვს, უფრო კოორდინირებულს გახდის ეკონომიკის განვითარებას და ა.შ.

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება; საზღვარგარეთ თბილისის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა; არსებულ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცება და ახალ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება; ევროპულ ინიციატივებთან მიერთება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა); მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა; მეწარმე ქალთა მხარდაჭერა.

მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი: 04 07)

